

Liana (lia) Basheleishvili

ლიანა(ლია) ბაშელიშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Light and Shadows of the Literary Portrait of Alexander Bagrationi

ალექსანდრე ბაგრატიონის ლიტერატურული პორტრეტის შუქ-ჩრდილები

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10804>

The article is dedicated to the prominent Georgian figure of the eighteenth century, Alexander Archil Bagration, who went through the most difficult path of life - from emigration to generalship, to the first Feldschermeister of Russia. The article presents the philological and literary interests of Alexander Bagration, his passion for bibliology and translation activities, the works of Simeon Polotsk and the project aimed at creating an artillery manual in Russian and Georgian. The article uses the correspondence of European diplomats published in Russian by Acad. Juansher Vateishvili, which concerns Alexander Bagration.

Keywords: Alexander Bagration, King Archil, Peter the Great, Stockholm State Archives, Juansher Vateishvili

საკვანძო სიტყვები: ალექსანდრე ბაგრატიონი, არჩილ მეფე, პეტრე დიდი, სტოკჰოლმის სახელმწიფო არქივი, ჯუანშერ ვატიეშვილი

„თუ სახელები არ იცი, ქრება საგანთა ცოდნაც“ – *Nomina si neckis, perit etcognitio rerum*. კარლ ლინეუსის ეს სენტენცია არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო დისციპლინებს ეხება, არამედ ლიტერატურის ისტორიასაც, რომელთა შესახებ ცოდნა ითვალისწინებს არა მხოლოდ ვარსკვლავების, ანუ დიდ მწერალთა სახელებსა და შემოქმედებას, არამედ იმ ნიჭიერ ადამიანთა ღვაწლსაც, რომლებიც ჰქმნიან ვარსკვლავთა წარმომშობ ნიადაგსა და აყალიბებენ ლიტერატურის განვითარების უწყვეტ პროცესს. დროის უღმობელმა ქართველიმა ბავშვობაში სამშობლოდან გადახვეწა. ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი (1674-1711), რომელმაც დიდი კვალი დატოვა როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს კულტურის ისტორიაში და ზემოთხსენებულ კარლ ლინეუსთან ერთად სტოკჰოლმში, ქალაქის უძველეს ნაწილში, მემორიალური დაფა გაიზიარა. მსგავსი მემორიალური დაფა ჰოლანდიის ქალაქ ზაანდამეშიცაა, პეტრე პირველის მუზეუმში, რომელიც ალექსანდრე ბაგრატიონის ამ ქალაქში ყოფნას გვახსენებს რუსეთის იმპერატორთან ერთად. ალექსანდრე ბაგრატიონის შესახებ ვოლტერი აღნიშნავდა: „*ადამიანი, დაბადებული სამეფო ოჯახში, თბილ სამხრეთში, კავკასიის მთების ძირში, ამთავრებს თავის სიცოცხლეს ტყვეობაში, ჩრდილოეთში, შვედეთის ცივ ყინულებში*“ (Voltaire, 1966, გვ. 65).

ცნობები არჩილ ბაგრატიონისა და ალექსანდრე ბაგრატიონების შესახებ შემოგვინახა სტოკჰოლმის სახელმწიფო არქივის ხელნაწერთა სხვადასხვა ფონდმა SRA-მ – „*Артиллерийская книга*“, სიმეონ პოლოცკის (1629-1680) თხზულებათა თარგმანები უფსალის უნივერსიტეტის ხელნაწერთა კოლექციამა დაცული, ეს კოლექცია დიპლომატმა და მწიგნობარმა იუხან გაბრიელ სპარვენფელდმა (1655-1727) რუსეთიდან შვედეთში ჩაიტანა. იუხანი გახლდათ აღმოსავლეთმცოდნე, ენათმეც-

ნიერი, სამხედრო პირი, რომელსაც არჩილ მეფის პროტექქემ, ფრანგმა ოფიცერმა ბალთაზარ დე ლოზიერმა მოსკოვში გადასცა არჩილ მეფის ნაჩუქარი თარგმანები, მათ შორის მათეს სახარება თურქულად (Ватеишвили, 2003, გვ. 240). არჩილის ზოგიერთი შრომა ინახება ლუნდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ამ არქივთა შესწავლას და გამოცემას ოც წელზე მეტი მონაღმობა ჩვენმა თანამემამულემ აკადემიკოსმა ჯუანშერ ლევანის ძე ვატიევილიმა, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში მოღვაწეობდა. აკად. ჯ. ვატიევილიმა რამდენიმე ტომად გამოსცა ის დიპლომატიური მიმოწერა და ანალიტიკური წერილები, რომელშიც დაცული იყო ცნობები რუსეთში მოღვაწე სხვადასხვა ტალღის ქართული დიასპორის უცნობილესი წევრების – ერეკლე დავიდოვიჩის, იგივე ერეკლე პირველის (ნაზარლიხანის), დედამისის – დედოფალ ელენე ლეონტის ასულის, არჩილ მეფის, მისი მეუღლის ქეთევან დედოფლის, დარია არჩილის ასულ ბაგრატიონის, ალექსანდრე ბაგრატიონის, ვახტანგ მეფის, ბაქარ ბატონიშვილის, პაატა ბატონიშვილის, ვახუშტი ბატონიშვილის და სხვა ცნობილ პირთა შესახებ.

ალექსანდრე ბაგრატიონმა და მისმა დამ დარეჯანმა ბრწყინვალე პირველდაწყებითი განათლება მიიღეს არჩილ მეფის მეთვალყურეობით საქართველოში. არჩილი, როგორც ირკვევა, ბიბლიის შესწავლას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და ურჩევდა ახალგაზრდებს უცხო ენების დაუფლებასა და ყველა იმ დისციპლინის ათვისებას, რასაც კათოლიკე პატრები ამკვიდრებდნენ საქართველოს ახლად გახსნილ სკოლებში. 1675 წელს არჩილი ტოვებს კახეთის ტახტს, გადადის ჯერ ახალციხის საფაშოში, შემდეგ კი იმერეთში. ასე, რომ, ალექსანდრე ბაგრატიონი დაბადებისთანავე განწირული აღმოჩნდა „მიუსაფრობისა და მწირობისათვის“, – წერს მისი ბიოგრაფი მ. ხმიროვი, რუსეთის პირველი ფელციისმაისტერისადმი მიძღვნილ სტატიაში (Хмыров, 1886, გვ. 31). იმერეთის ტახტის დაკარგვის შემდეგ, რომელიც 1678 წელს დაიჭირა მეორედ არჩილმა და ვერ შეინარჩუნა, მეფემ პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა მოსკოვის სამეფოს მეფეს ფიოდორ ალექსევიჩს. შახი სულეიმანი ითხოვდა არჩილისა და მისი ოჯახის შეპყრობას. ქართლის მეფეს გიორგი მეთერთმეტეს არჩილისა და მისი მეუღლის თავები უნდა ჩაეტანა ისპაჰანში. გაქცეული არჩილი ოსეთში ერთი წელი ელოდა შვილებთან ერთად რუსეთში შესვლის ნებართვას. ძმა ლევანი და ქართველი თავადები ცდილობდნენ არჩილის უკან დაბრუნებას და ემიგრაციაზე უარის თქმას. ამოდ. მოსკოვის მეფის ფიოდორ ალექსევიჩის სახელზე არჩილის რამდენიმე „ჩელობიტნაია“ შემონახული. 1680 წლის სიგელი ეპისკოპოს სიმეონ პოლოცკის სახელზე, 1683 წლის „ჩელობიტნაია“ მეფეების იოანე და პეტრე ალექსანდრეს ძის სახელზე, არჩილ მეფის მეუღლის ქეთევან დავითის ასულის „ჩელობიტნაია“ დედოფალ ნატალია ნარიშკინასადმი და მისი კიდევ ერთი სიგელი ცარევნა სოფიასადმი. არჩილ მეფის 1683 წლის ორი გზავნილი მეფეების იოანე და პეტრე ალექსანდრის ძის მიმართ, სიგელი ბოიარ ვასილი ვასილის ძისადმი. მოკლედ რომ ვთქვათ ყველა „ჩელობიტნაია“ მთავარი სათხოვარი – რუსეთში შემვებაა. ე.წ. „პასოლსკი პრიკაზით“. რუსეთში პირველად შესვლის ნებართვას ბატონიშვილები იღებენ – 10 წლის ალექსანდრე და 8 წლის მამუკა. 1684 წელს 69 პირის თანხლებით, სახლთუხუცეს ნოდარ ჯორჯაძის ხელმძღვანელობით ბატონიშვილები შედიან მოსკოვში. ისინი დააბინავეს პოკროვკაზე, დავიდოვის სასახლის კარზე. ბატონიშვილებს ყველაზე საპატიო ადგილი მიეჩინათ სასახლის კარის განჩინებაშიც, ციმბირელი მეფისწულ კასუმოვების და ყველა არისტოკრატების წინ, სამეფო ოჯახის შემდეგ. ალექსანდრე პეტრეზე უმცროსი იყო წელიწადნახევრით. პეტრეს მოეწონა ალექსანდრე, არა სამეფო წარმომავლობის გამო, არამედ პიროვნული თვისებებით. ალექსანდრემ არჩილის „ჩელობიტნაია“ ჩამოიტანა მოსკოვში. „დვორცოვიე რაზრიადი“ ინახავს ასეთ ჩანაწერს ალექსანდრეზე: „ალექსანდრე მკვირცხლი, სხარტი ხასიათით გამოირჩევა, მას ღია შუბლი და მკვეთრად გამოკვეთილი (მოხაზული) ნიკაპი აქვს, ღრმა, დაკვირვებული მზერა, ხვეული, წაბლისფერი თმები. გარეგნულად იგი პეტრეზე სუსტი ჩანს, მაგრამ უფრო ტანადია და მჩქეფარე“ (Ватеишвили, 2003, გვ. 59). ალექსანდრე სასახლის კარის ღონისძიებათა თვალსაჩინო მონაწილე იყო. მაგ. იოანე ნათლისმცემლის თავის წარკვეთის დღეს, დიდი ხელმწიფის პეტრეს უკან ქართველი მეფისწულები მიდიოდნენ, შემდეგ ბოიარები და „ოკოლნიჩიე“. ალექსანდრე დოკუმენტებში მერეტინსკად არის მოხსენიებული. ალექსანდრე პეტრეს ე.წ. გასართობი თამაშების მუდმივი მონაწილეა. ძნელი სათქმელია, თუ რა როლი შეასრულა

ალექსანდრე „გრუზინცისა“ და პეტრეს მეგობრობამ არჩილ მეფის მოსკოვში შემოსვლის ნებართვის გაცემის დაჩქარებაზე, მაგრამ ფაქტია, რომ ერთი წლის შემდეგ, 1685 წელს არჩილი მოსკოვში ჩადის 162 კაცის თანხლებით. არჩილის საზეიმო მიღებაში კრემლის წახნაგოვან პალატაში, შვილიც ალექსანდრე არჩილის ძეგ მონაწილეობდა. მინდა დიპლომატის, ჰოლანდიის მინისტრის, რუსეთში რეზიდენტად მყოფ ბარონ იოჰან ვილჰელმ ვილემ კელლერის მოხსენებითი ბარათის ნაწილი გაგაცნოთ, რომელიც ჯ. ვატიშვილმა დაბეჭდა თავის შესანიშნავ წიგნში:

„15 დეკემბერი, 1685 წელი: „წინა კვირას, აქ დიდი პატივით მიიღეს ბატონი მეფისწული (მეფე), ქართველი თავადები გრუზინიდან და იზმელეტიიდან, რომელთა მიწები ახლოა ირანთან. იგი ბერძნული აღმსარებლობისაა და არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ირანს, უკანასკნელის სიძლიერის გამო. ირანის მმართველს სურდა მეფის ცოლი და ქალიშვილი, რომლებიც უჩვეულოდ ლამაზები არიან თავის ჰარამხანისათვის. მთავარი თავისი ოჯახით შევიდა მისი სამეფო უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ. ეს მთავარი დაახლოებით 50 წლისაა, და ის ფრიად სახელგანთქმულია თავისი სიმამაცით და და უდიდესი ნიჭით გამოირჩევა საბრძოლო საქმეების ხელმძღვანელობაში. ამიტომაც იგი აქ დიდ პატივშია. დიახ, ეს სახელმწიფოები და ოლქები (ქართული) დრო და დრო ფრიად სასარგებლოა მეფის მსახურებისათვის, აქ ღიად საუბრობენ უმცროსი ბატონისა და მეფის, პეტრესა და ქართველი პრინცისა ქორწინებაზე. იგულისხმება დარეჯან არჩილის ასული“.

„პოსოლსკი პრიკაზის“ წარმომავლობათა წიგნში ბაგრატიონების გვარიც შევიდა, პირადად არჩილ მეფის ხელმოწერით, როგორც რუსეთის გვარი. მეფის ასულ სოფიას გარიგებით 1686 წელს ალექსანდრე ბაგრატიონმა იქორწინა ფეოდოსია მილოსლავსკაიაზე, ცარევნა სოფიას ბიძაშვილზე. კრისტოფერ ფონ კოხენის მოხსენებითი ბარათით: „ერთი წელია, რაც მელეტინის მეფე აქ იმყოფება, წინა კვირას მან უფროსი პრინცი დააქორწინა აწ გარდაცვლილ ივანე მიხაილის ძე მილოსლავსკის ქალიშვილზე, ალექსანდრემ მიიღო 5000 სული ყმა გლეხი და დიდი ფული“. საჩუქრების ნუსხა და მზითვეი შემონახულია სხვა ცნობებშიც „ალექსანდრეს პირად საჩუქრებშია სახურავიანი ოქროს სასმისები, 40 წაულას ბეწვი, 10 არშინი ატლასი და 10 არშინი წითელი ხავერდი, სამასი მანეთი. ცარევნა სოფიამ თავის ბიძაშვილს მზითვად გაატანა სოფელი ვსესვიატსკოე, რომელიც მომავალში ქართული კულტურის ცენტრი „სესენწკა“ გახდება, აქ გაიმართება ქართული სტამბა და დაიბეჭდება ბაქარის ბიბლია. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე დაუნათესავდა პეტრეს მოწინააღმდეგეთა ბანაკს, მათი ურთიერთობა არ გაცივებულა. პირიქით, მეგობრობა უფრო გაღრმავდა. ალექსანდრე ძირითადად პეტრესთანაა პრეობრაჟენსკში და მონაწილეობს ე, წ, „პოტემინი იგრებში“. რომოდანოვსკის, გოლოვინსა, გოლიცინს, აპრაკსინსა და ბუტურლინის გარემოცვაში. ეს „კუმპანია“ ზოგიერთ „პოდლსაც“ იღებდა თავის რიგებში. მაგ. ღვეზელების გამყიდველი გლეხი მენშიკოვი, რომელიც პეტრეს უახლოესი მეგობარი გახდება. ალექსანდრე ხშირად სტუმრობდა პეტრესთან ერთად კუკუევოს, ანუ გერმანულ სლობოდას და გრძნობდა, თუ რამდენად ჩამორჩენილი იყო „დომოსტროით“ მცხოვრები რუსეთი დასავლეთ ევროპას, საქართველოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. არჩილს მონაწილეობა უნდა მიეღო ყირიმის ლაშქრობაში გოლიცინთან ერთად. მას უმცროსი ვაჟი გარდაეცვალა და თანაც გიორგი მეთერთმეტე უხმობდა საქართველოში. ასეთია კრისტოფერ ფონ კოხენის მოხსენებითი ბარათი შვედეთის ხელისუფლების მისამართით.

„სამი წლის წინათ მოსკოვში ჩამოსულმა მელეტინის მეფემ, სახელით არჩილმა, როგორც ჩანს მიიღო თავის მიწიდან შეტყობინება, რომ თურქეთის არმია საქართველოდან წავიდა. ამიტომ არჩილი სთხოვდა მის უდიდებულესობას ხუთ ან ექვსათასიან რაზმს, რომლის მეშვეობითაც იგი შეძლებდა თავის მიწების დაბრუნებას. მეფის ეს წინადადება არ იქნა მიღებული, მაგრამ მას პირადად მისცეს უფლება საქართველოში დაბრუნებულიყო. მაგრამ მან ვერ შეძლო წასვლა მდინარეების გახსნამდე, რადგანაც მისი გზა ასტრახანზე გადიოდა“ (Ватеишвили, 2003, გვ. 73).

გარემოებანი არ ასხამდა არჩილის წისკვილზე წყალს. მან ბევრი დრო დაკარგა გზაში და ტახტის დაბრუნების ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარებაც შეიცვალა. არჩილს უღალატა საკუთარმა სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემაც კი. მან რიონთან გადამწყვეტი ბრძოლა წააგო. ალექსანდრე და მამუკა, რომლებიც ოსეთის სოფელ ზრომაგში იმყოფებოდნენ, საფრთხეში აღმოჩნდნენ. ქართლის მეფემ შახის ბრძანება მიიღო უფლისწულების შეპყობის თაობაზე. ზრომაგში შენაერთები გაიგზავნა. არჩილის მეუღლემ ქეთევან დედოფალმა წერილი მისწერა თავის ძმას-ერეკლე პირველს და დისშვილების დაცვა სთხოვა. თავადი ბლინოვი, რომელიც მეურვეობდა უფლისწულებს ახერხებს მათ ალყიდან გაყვანას და არჩილიც 1690 წელს ბრუნდება მოსკოვში 42 კაცის თანხლებით. მას გარდაცვლილი დახვდა რძალი – ალექსანდრეს მეუღლე ფეოდოსია ივანოვნა. პეტრე დიდმა იზრუნა, რომ გარდაცვლილი ფეოდოსია მილოსლავსკაიას ქონება არჩილს დარჩენოდა. მან დაუნიშნა ალექსანდრეს ხელფასი 4000 რუბლის ოდენობით და აჩუქა გადასახლებულ გოლიცინის სასახლე.

ცარევენა სოფია უკვე მონასტერში იყო განწესებული, აჯანყება – ჩახშობილი და პეტრე იწყებს არმიის რეფორმირებას. რადგან ალექსანდრეს უყვარს მათემატიკა, „ციფერნიე ნაუკი“, პეტრეს სურს, რომ იგი ბოზმარდირების, ანუ არტილერიის საქმის მთავარი ფიგურა გახდეს რუსეთში. მაგრამ ალექსანდრეს მწიგნობრულ-ფილოლოგიური მიდრეკილებანიც ჰქონდა, ისევე, როგორც ბაგრატიონების უმრავლესობას. არჩილმა თავის დროზე იზრუნა, რომ შვილს რუსული კარგად შეესწავლა. ალექსანდრე და მამუკა სლავურ-ბერძნულ, ლათინურ აკადემიაში დადიოდნენ ალექსანდრე. შესანიშნავად დაეუფლა ძველ სლავურსა და ბერძნულ ენებს. მას ასწავლიდა ბერი ტიმოფეი, მოსკოვის ბერძნული ტიპოგრაფიის სასწავლებლის დამაარსებელი. ბერ ტიმოფეის არჩილ მეფესთან ადრეც ჰქონია კავშირები იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოზის მეშვეობით. 1687 წელს დაარსდა სლავურ-ბერძნულ-ლათინური სასწავლებელი. ალექსანდრეს პირველი პროფესორები ძმები ლეხუდები იყვნენ – იოანნიკი და სოფრონი. ეს დაწესებულება ნიკოლსკის ქუჩაზე მდებარეობდა. ალექსანდრე თარგმნიდა რუსულიდან ქართულად სასულიერო ხასიათის თხზულებებს. მისი საყვარელი ავტორი სიმეონ პოლოცკი გახლდათ. ფაქტია, რომ ალექსანდრეს ჰუმანიტარული მიდრეკილებები „შეიწირა“ პეტრე დიდის დავალებამ, რომ მას შეესწავლა ბოზმარდირების საქმე. მაინც რატომ იყო აქტუალური არჩილისა და ალექსანდრესათვის სლავურთან შეწამებული ბიბლიის ახალი ქართული რედაქციის მომზადება?! თავისუფლად შესაძლებელია არჩილზე ზეგავლენა მოეხდინა პეტრე დიდის პროექტს, რომელსაც სურდა სლავური ბიბლიის ახალი რედაქციის დაბეჭდვა და ბიბლიური საზოგადოების შექმნა. პეტრე დიდს სურდა დიდი ელჩობის პერიოდში გამოეცა რუსული ბიბლია ჰოლანდიაში, კერძოდ ჰააგაში პოლიგრაფისტ ვან დიურენის სახელოსნოში. მეორეც, არჩილმა იცოდა, რომ ქართულ ბიბლიის რედაქციებს ძველი აღქმიდან რამდენიმე წიგნი აკლდა, მას სურდა ამ დანაკლისის შევსება და დედნად სლავური ბიბლიის გამოყენება, რაც შეეხება ქართული ტიპოგრაფიის გახსნას მოსკოვში, არჩილმა და ალექსანდრემ ამსტერდამში დაუკვეთეს ქართული შრიფტი ცნობილ ოსტატს მიკლოშ კიშს. არჩილს ალექსანდრესთან ერთად ქართველი სასულიერო პირები ეხმარებოდნენ, რომლებიც უკვე მრავლად იყვნენ რუსულ ეკლესია-მონასტრებში. სამწუხაროდ, ეს პროექტი ვერ განხორციელდა. მიუხედავად მამა-შვილის დიდი მცდელობისა. ტყვედ მყოფი ალექსანდრე ბაგრატიონი შვედეთშიც კი დიპლომატიისა და აღმოსავლეთმცოდნე სპარვენფილდის დახმარებით ცდილობდა ქართული შრიფტის და პუანსონების დამზადების საქმის მოგვარებას. ალექსანდრესა და არჩილის გარდაცვალების შემდეგ ბაქარ ბაგრატიონმა შეძლო იოსებ სამეხელთან, ზნამენსკის ეკლესიის წინამძღვართან ერთად ქართული ტიპოგრაფიის აღორძინება ვსესვიატსკოეს სასახლეში, რომელიც ბაქარს მემკვიდრეობით ერგო დარეჯან არჩილის ასულ ბაგრატიონისაგან რუსეთის იმპერატორის განკარგულებით. რა თქმა უნდა, არჩილ მეფის არქივითურთ. რა ზომით ისარგებლეს არჩილ მეფის ნამუშევრით, ეს საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. რადგან ბაქარის ბიბლია გამოიცა 1743 წელს, ხოლო სლავური ბიბლია ელიზავეტა პეტროვნას შესწორებებით დაიბეჭდა 1751 წელს და იგი დღემდე იხმარება რუსულ ეკლესიაში, მისით ბაქარი ვერ ისარგებლებდა, თუმცა ბაგრატიონების სიახლოვე ბერძნულ-სლავურ აკადემიასთან, დიდ საეკლესიო პირებთან ფაქტია და არ არის გამორიცხული ისიც, რომ ბაქარს

ჰქონოდა წვდომა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ რედაქციასა და კომისიის წევრებთან. ასე რომ, არჩილიცა და ბაქარიც სარგებლობდნენ სლავური ბიბლიის ან პირველი გამოცემით, რომელიც დაბეჭდა ივანე ფეოდოროვმა ოსტროგში, იგივე ვოლინში 1581 წელს და ეს ბიბლია ცნობილია ოსტროგის ბიბლიის სახელით. პატრიარქმა ნიკონმა 1663 წელს გამოსცა შესწორებული რედაქცია. ელიზავეტას გამოცემამდე ახალი რედაქცია არ დაბეჭდილა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბაქარის ბიბლია გამოცემისთანავე აკრძალეს, გასაგებია, რომ გარკვეულ „თვითნებობასთან“ გვქონდა საქმე და ტექსტის გამოცემა არ იყო შეთანხმებული არც იმპერატრიცასთან და არც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებთან. „სიბრძნე სოლომონისა“ და ძველი აღთქმის რამდენიმე წიგნი, რომელიც მოსკოვის გამოცემაში შევიდა სავარაუდოდ ოსტროგის ბიბლიიდან არის ნათარგმნი. ძველი აღთქმის წიგნების დანაკლისი შეივსო. ძველსლავურად იგი კათოლიკე ბერმა ბენიამინმა თარგმნა ემაუსის მონასტრიდან. უნდა აღინიშნოს რომ სლავური ბიბლია დიდი ფუფუნების საგანი იყო რუსეთში. სასულიერო სასწავლებლებში ძირითადად ლათინური ვულგატით სარგებლობდნენ, წარმოდგენილი ამბავია, რომ ძველსლავური ბიბლიის ტექსტი საშუალო დონის მღვდელთმსახურს ჰქონოდა რომელიმე მონასტერში. ნიკონის რედაქცია კანონიკურად ითვლებოდა, მაგრამ სტარობრიადეები უწევდნენ წინააღმდეგობას და უპირატესობას ჩაუსწორებელ ოსტროგის ბიბლიას ანიჭებდნენ. არჩილ მეფესა და ბაქარს სურვილის შემთხვევაში ნამდვილად არ გაუჭირდებოდათ ძველსლავური ბიბლიის შოვნა.

ალექსანდრე პეტრეს „დიდი ელჩობის“ წვერი გახლდათ ევროპაში სამი თანმხლები მსახურით. სწორედ ჰოლანდიაში გაიცინო არჩილმა ნიკოლოზ ვიტსენი, ამსტერდამის მომავალი ბურგომისტრი. „დიდი ელჩობის“ პერიოდში ალექსანდრე ქართულ სამოსს ატარებდა, რომელსაც თურმე აღმოსავლური დიდებულებით იხდენდა. მეფისწული სარგებლობდა პეტრე პირველის დიდი კეთილგანწყობით. იგი სწავლობდა უტრეხტსა და ამსტერდამში. ამსტერდამიდან პეტრე დიდი ლონდონში მიდის არჩილისა და შაჰსკის თანხლებით. ალექსანდრეს არ ავიწყდება ქართული შრიფტის და პუანსონების ოსტატის ძეგნა. მოგვიანებით ქართული პუანსონები დიდ როლს ითამაშებენ რუსეთისა და შვედეთის დაზვერვის ისტორიაში.

რუსეთ-შვედეთის ომის დროს ალექსანდრე ნარვასთან ტყვედ ჩავარდა რუს გენერლებთან და ოფიცრებთან ერთად. პეტრე დიდი „მობილ“ კარლოსს ბრალს დასდებს ქრისტიან ქვეყნებთან ომის წარმოების კანონის დარღვევასა და ნარვასთან რუსული ალყაშემორტყმული სამხედრო ელიტის მოტყუებაში. რუსულ ისტორიოგრაფიაში მაგ. ო. გრინევსკისთან რუსეთის მარცხი ნარვასთან მთლიანად ალექსანდრე ბაგრატიონს ბრალდება (Ватенишвили, 2003, გვ. 288). ზოგიერთ რუს ისტორიკოსს უყვარს „განტყვევების ვაცის“ ძიება არარუსული (ინოროდცების) წარმოშობის ადამიანებში. დიპლომატი და ისტორიკოსი ო. გრინევსკი ამ მხრივ გამონაკლისი არ გახლავთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ტყვე ალექსანდრე ბაგრატიონი შვედეთში საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა და ფრიად განებივრებულიც აღმოჩნდა ტყვეთა შორის. მის მიმართ განკარგულებებს პირადად კარლოს მეთორმეტე გასცემდა. სახელმწიფო საბჭოს არ ჰქონდა უფლება მიეღო რაიმე გადაწყვეტილება ალექსანდრე ბაგრატიონთან დაკავშირებით. ალექსანდრეს ნება დართეს ქართველი მღვდლის მოწვევაზე, მანამდე იგი ესწრებოდა რუსულ წირვებს სახელდახელოდ მოწყობილ სამრევლოში, სადაც იკრიბებოდნენ რუსი გენერლები. ჯ. ვატეიშვილმა გამოაქვეყნა გენერალ ხილკოვის მემორიალი, რომელიც შეიცავს ცნობებს ალექსანდრეს შესახებაც. პეტრე სიმეტრიულ ზომებს ღებულობდა ტყვეებთან დაკავშირებით და მუდმივად აწარმოებდა მოლაპარაკებებს მათ გაცვლასა და გამოსყიდვაზე. განსაკუთრებით რეაგირებდა ალექსანდრე ბაგრატიონის ცხოვრების პირობებზე. როგორც კი შვედები გაამკაცრებდნენ ზომებს ტყვეების მისამართით, პეტრეც იმავე ზომებს მიმართავდა შვედების მიმართ მოსკოვში. აპატიმრებდა დიპლომატებსა და მათ ოჯახებს.

იუხან სპარვენგილდსა და არჩილს შორის სწორედ ამ დროს იწყება მეგობრობა. არჩილი წერილით მიმართავს კარლოს მეთორმეტეს და ქრისტიანული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სთხოვს მას დანიშნოს მისი ვაჟის გამოსასყიდი თანხა. ჰედვიგ ელეონორა, ქვრივი დედოფალი, ჰედვიგ სოფია და ჰედვიგ ულრიკე – კარლოსის დები მოსვენებას არ აძლევენ მეფეს. ისინი არ ეპუებიან კარლოსს და ცდილობენ ალექსანდრეს ხვედრის ყველანაირ შემსუბუქებას. როგორც ჩანს,

ალექსანდრეს ჰედვიგ სოფიასთან არა მხოლოდ მეგობრობა აკავშირებდა. სასახლის დაცვის უფროსის მიერ შედგენილი დოკუმენტი გვამცნობს; „*პრინცი მელიტე დედოფლის სასახლის აპარტამენტებიდან გამოვიდა დილით ძალიან ადრე და გაემართა თავის სახლისაკენ. ინფორმატორი ცუდ დღეში ჩავარდა, რადგან არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. იგი ითხოვს ინსტრუქციას და მითითებებს, თუ როგორ მოიქცეს მსგავს შემთხვევებში*“ (Ватеишвили, 2003, გვ. 479). ულრიკე ელეონორაც ვერ იყო გულგრილი ალექსანდრეს მიმართ. იგი 14 წლით იყო უფროსი ალექსანდრეზე. აღსანიშნავია ის პიკანტური ფაქტიც, რომ ყველაზე დიდი ვალი ალექსანდრე ბაგრატიონს სტოკჰოლმში იუველიერებისა ჰქონდა გასაგები მიზეზების გამო, ხოლო რუს დანარჩენ ტყვეებს— ღვინისა და სანოვაგით მოვაჭრეების. როცა მოულოდნელად გარდაიცვალა ჰედვიგ სოფია, ალექსანდრეს მწვავე დეპრესია დაეწყო. მისი სამძიმრის წერილი ჰედვიგ ელეონორასადმი პრინცესას სიკვდილის გამო ტკივილითა და თანაგრძნობითაა სავსე. სამძიმრის წერილში ჰედვიგ სოფიას იგი შვედეთის „სახელმწიფოს ყვავილს“ უწოდებს.

ალექსანდრემ ბრწყინვალე ურთიერთობა დაამყარა არა მხოლოდ სამეფო ოჯახთან, არამედ შვედეთის ელიტასთან. იგი ათ წელზე მეტი იყო ტყვეობაში. სამეფო ოჯახის წევრები შეყვარებულები იყვნენ მასზე, მისი კონსულტაციებით სარგებლობდნენ შვედი პროფესორები, სპარფენვილდის გაწეული რეკომენდაციები შესანიშნავად მუშაობდა ალექსანდრესთან მიმართებით: მაგ. ულოფ. როდბეკ უფროსი, თავის „ატლანტიკის“ შედგენის დროს, კონსულტაციებს ბიბლიოლოგიასა და მითოლოგიაში გადიოდა ალექსანდრე ბაგრატიონთან. ამ მეცნიერს ბიბლიოლოგიურ, ეგზეგეტიკურ კომენტარებში ქართული ლექსემების თარგმანებიც კი მოაქვს. ცნობისათვის, სპარფენვილდს სპარსულ ენას მოსკოვში არჩილ მეფე ასწავლიდა სამი წელიწადი. როდბეკ უფროსის პორტრეტის შემქმნელი, მარტინ მეიტენს უფროსი ხატავს ალექსანდრე ბაგრატიონის პორტრეტს. ალექსანდრეს კონტაქტი ჰქონდა მეცნიერ ურბან ხიარნესთან, იგი ალექსანდრეს მკურნალი ექიმი იყო. ჰენრიკ ბრენერთან მას შესანიშნავი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. ბრენერი აღმოსავლეთმცოდნე იყო და მოსკოვში გაეცნო ბაგრატიონების ოჯახს. ბრენერს ეკუთვნის ჩანაწერები საქართველოსა და სომხეთზე. მის მოხსენებით ბარათში ქართველ მეფეთა წარმომავლობაა განხილული, (ვახტანგ მეხუთის შვილებზე სულ სხვა ინფორმაციას გვაწვდის). მას ეკუთვნის ცნობა შახ სულეიმანის მიჯნურობაზე ქეთევან დედოფლის მიმართ. იგი სარგებლობდა ერეკლე პირველის ხელნაწერებით. ამიტომაც პეტრემ იგი კარცერში გაამწყსა. ალექსანდრე ბაგრატიონისა და არჩილის მიმოწერის ფიგურანტი ხდება დაპატიმრებული ბრენერი. „*მორჩილად ვუწევ რეკომენდაციას ბატონ მამასთან ბატონ ბრენერს, ეს კეთილშობილი და მეცნიერი ადამიანი გახლავთ. მან იცის არაბული, გერმანული და ბევრი უცხო ენა. მისი მამა ამ ქალაქში ცხოვრობს და საოცრად თბილად მეპყრობა. უმდაბლესად ვთხოვ ბატონ მამას გამოიჩინოს მოწყალეობა და სთხოვოს ბორის ალექსევიჩს შეამსუბუქოს ბრენერის მდგომარეობა*“; – წერს ალექსანდრე არჩილ მეფეს.

ალექსანდრემ გაქცევაში ხელი შეუწყო ერთ რუს ტყვეს, არა ტრუბეცკოის, ბუტურლინსა და ვეიდეს, არამედ სხვას, რამაც მის მიმართ შვედების ნდობა შეარყია. ყველა რუსის გაქცევა წარუმატებლად დამთავრდა. ალექსანდრე ასევე აწარმოებდა აკრძალულ მიმოწერას გენერალი ხილკოვი ცდილობდა ალექსანდრეს გაპარებას, რა თქმა უნდა, პეტრე დიდის დავალებითა და ხელშეწყობით 1703 წელს. ალექსანდრემ გაქცევაზე უარი თქვა, რადგან მას პირობა ჰქონდა მიცემული, რომ არ გაიპარებოდა. მძიმე მოლაპარაკებების შედეგად შვედური მხარე თითქოს დათანხმდა, რომ ალექსანდრე გაეცვალათ 1 პოლკოვნიკზე, 10 ოფიცერზე, 10 ლეიტენანტზე და 10 ფენრიკზე. გაცვლა ვერ შედგა. ქართული შრიფტების გამოყენების გამო ალექსანდრე ლინჩოპინგში გადაიყვანეს. გენერალ ხილკოვის ემპათიური წერილები ალექსანდრეს მიმართ ადასტურებს იმას, რომ ალექსანდრე რუს თანამებრძოლებსაც ძალიან უყვარდათ. შვედი ჰამილტონის დიდი ძალისხმევით მეფისწული სტოკჰოლმში ბრუნდება. მას უფლება ეძლევა ქალაქში სიარულის და სამეფო ბაღებში სეირნობის.

არჩილმა ისევ მიმართა წერილით კარლოს მეფეს. მარი ბროსეს გამოცემული აქვს 3 წერილი, რომლებშიც ალექსანდრეს 60 ოფიცერზე გაცვლაზეა საუბარი. ასევე 40 კასრი ოქროც ფიგურირებს დოკუმენტებში, რაზეც არჩილს და ალექსანდრეს უარი განუცხადებიათ. ახალ აღმოჩენილი დიპლომატიური მიმოწერით ირკვევა, რომ რაც არ უნდა გადაეხადა რუსულ მხარეს, კარლოს მეთორ-

თმეტე მაინც არ გაათავისუფლებდა ალექსანდრეს, რადგან მას ახლო ურთიერთობა და ინტერესთა თანხვედრა ჰქონდა ოსმალეთის სულთანთან. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კარლოსი აჭიანურებდა გაცვლის პროცესს.

1703 წლიდან ალექსანდრეს უკვე მოგვარებული ჰქონდა შვედეთში ქართული პუნსონების ჩამოსხმის საქმე, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება შესანიშნავად გამოიყენებს დაზვერვაში. შვედი გამშიფრველები შიფრავდნენ ნებისმიერ რუსულ კოდს, მაგრამ ქართულს მათ ვერაფერი მოუხერხეს, ცნობები ამ უაღრესად საინტერესო პროცესების შესახებ იუხანეს სპარფენველდმა შემოგვინახა თავის „დღიურებში“, რომელიც ინახება შვედეთში, ქალაქ ლინჩოპინგში ე. ლილიემარკის ცნობით, რომელიც შვედეთის სამეფო კარზე კორესპოდენციების ყველაზე ცნობილი გამშიფრავი იყო, გაუჭირდა რუსი გენერლების წერილებში კოდების გახსნა, რადგან წერილები ქართული ასოებით იყო შედგენილი. ამიტომაც, ლილიემარკი ითხოვდა დაკვირვებას და თვალთვალს ალექსანდრე ბაგრატიონზე. „ჩემმა მამამ სასურველია გამოიჩინოს კეთილი ნება და ყველა წერილი რუსულად მომწეროს, რადგან ქართულად მოწერილ წერილებს ადარ მაძლევენ. მხოლოდ ორიოდ წინადადება ქართულად, რომელიც შემატყობინებს იმას, თუ როგორ ბრძანდებით თქვენ“ (Bateიშვილი, 2003, გვ. 433).

მიუხედავად ასეთი ბოზოქარი ცხოვრებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა, ალექსანდრე პოულობდა დროს ლიტერატურული საქმიანობისათვის. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მისი ინტერესის საგანი ბიბლიოლოგია იყო. მან თარგმნა არა მხოლოდ მაკაბელთა წიგნები, არამედ ისო ზირაქი, ეზდრა, პირველად თარგმნა თოვითი. ამ სამუშაოს იგი არჩილ მეფესთან და ბაგრატ სოლოლაშვილთან ერთად ასრულებდა. მისი გატაცება სიმეონ პოლოცკით არ იყო შემთხვევითი. მან თარგმნა სიმეონ პოლოცკის შემდეგი თხზულებები – „სიტყვა ღვთისმშობლის მიძინებაზე“ („Слово в день успения“, „სიტყვა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებაზე“ („Слово в день введения во храм Пресвятой Богородицы“). „წეს-განგება მეფეთა კურთხევისა“ (Чин венчания на царский престол) სიმეონ პოლოცკის რედაქციით. ალექსანდრე ბაგრატიონმა ნ. ნადიბაიძის აზრით, გამოიყენა იოანე და პეტრე ალექსევიჩების კორონაციის აღწერა. ქართულ რედაქციაში ჩამატებულია ლოცვები, რომელიც წარმოითქმის ამა თუ იმ ქმედების დროს. ეს შედარებითი თარგმანია, რომელიც აფიქსირებს განსხვავებებს ქართულსა და რუსულ განჩინებებს შორის. ალექსანდრეს რუსულიდან ქართულად უთარგმნია „Канон умиленный Господу нашему Иисусу Христу“ და „Молитва, в новь переведенная с русского языка“. ნ. ნადიბაიძის საკანდიდატო დისერტაციაშია ეს თარგმანები გამოწვლილვითაა შესწავლილი. უკანასკნელის თანახმად, ალექსანდრეს ნათარგმნია პროლოგ სინაქსარიც. ბოლო ახალი ლოცვა კათოლიკურს ჰგავს და მეცნიერის შეხედულებით, ჰოლანდიაში ყოფნის დროს უნდა იყოს თარგმნილი. ჯ. ვატეიშვილის მტკიცებით, ჰოლანდია არ არის კათოლიკური ქვეყანა. ეს თარგმანი, მისი აზრით, შვედეთში უნდა იყოს შესრულებული, მაგრამ არც შვედეთია კათოლიკური ქვეყანა. ალექსანდრემ ქრისტოფერ კეისერ მესამესთან ერთად შექმნა სრულიად ახალი ნუსხა- ხუცურის შრიფტი და იგი ჩამოასხეს სტოკგოლმში.

რაც შეეხება ალექსანდრე ბაგრატიონის „არტილერიის წიგნს“, იგი ნათარგმნია რომელიღაც ევროპული ენიდან, მისივე ჰოლანდიური ენის მასწავლებლის ილია კოპიევსკის მიერ. ამ წიგნის ქართული რედაქცია ალექსანდრემ ფრანგი სან-რემის წიგნის ბაზაზე შექმნა, ხოლო შვედეთში რედაქტირება გაუკეთა. შვედეთში მას ფრანგულიც შესანიშნავად შეუსწავლია, რამაც ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია.

ალექსანდრე ბაგრატიონის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან გაუარესდა მას შემდეგ, როცა მიღებული იქნა საბოლოო გადაწყვეტილება რუსი ტყვეების გაცვლის შესახებ. გზა ფინეთის ქალაქ უმეოსკენ ბატონიშვილისთვის გოლგოთის გზა აღმოჩნდა, ქარბუქსა და ყინულებში თვობით მგზავრობამ, ფინეთის ქალაქებში იძულებითმა გაჩერებამ, გააუარესა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. გუბერნატორს არ სურდა პასუხისმგებლობის აღება გაყინული ტბით რუსების გადასვლაზე. მისი აზრით, ყინული ტბაზე არ იყო მყარი და ეტლთა სიმძიმეს ვერ გაუძლებდა. მარშრუტის შეცვლა კი მთელ რიგ შეთანხმებებს მოითხოვდა. გენერალი ტრუბეცკოი მწარედ განიცდიდა ალექსანდრეს მდგომარეობას, მკერდში მჯიღს იცემდა და ტიროდა, რომ ალექსანდრე პიტე-

ოსკენ მგზავრობას ვერ გაუძლებდა. უმეოს გუბერნატორი ამაოდ ევედრებოდა ალექსანდრეს დარჩენილიყო. ამ დროს ფინეთში შავი ჭირი მძვინვარებდა, პიტეოში ისევ შეჩერდნენ, რადგან ალექსანდრეს ძლიერი ცხელება დაეწყო. ეპიდემიის ლოკალიზებაც ვერ მოხერხდა. ვარაუდობენ, რომ ალექსანდრეს სიკვდილი სწორედ ეპიდემიამ დააჩქარა. რუსულმა კორტეჟმა არ დატოვა ალექსანდრეს გვამი და თან წაიღო იგი კორშხოლში და მერე გადაიტანა ქალაქ აბოში. ტყვეებს შორის არ იმყოფებოდა მღვდელი ბაგრატ სოლოდაშვილი, რომლის ხელებშიც დალია სული ალექსანდრემ. იგი რუს ტყვეთა მეორე ნაწილს შეუერთდა ი. დოლგორუკის მეთაურობით. მათ ხელში ჩაიგდეს საზღვაო ხომალდი და რეველში ჩავიდნენ, სადაც რუსული ჯარი იდგა. ხმა მეხივით გავარდა ალექსანდრეს სიკვდილის შესახებ, რომელმაც პეტრე დიდი წყობიდან გამოიყვანა. მან ალექსანდრეს სიკვდილში შვედეთის ხელისუფლება დაადანაშაულა. შვედები ამის გამო დააყოვნებენ ალექსანდრეს გვამის გადმოცემას. ტკივილისაგან და სასოწარკვეთისაგან განადგურებული არჩილ მეფე წერილით მიმართავს პეტრე დიდს, დაპატიმრებულ გრაფ პიპერს და რენშოლდს. შვედი მოღვაწეები უაღრესი მოწიწებით და გულისტკივილით აღსავსენი ცდილობენ არჩილის დახმარებას და მოსკოვიდან მიმართავენ საკუთარ ხელისუფლებას, უგზავნიან რა მათ წერილებს. 1711 წელს პეტრემ მოიწვია რიგგარეშე სენატის სხდომა, რომელიც ალექსანდრე ბაგრატიონს მიემღვნა. სენატმა აღფოთება გამოთქვა ალექსანდრეს გვამის გადმოცემლობის გამო და ბარბაროსობაში დაადანაშაულა შვედები. პეტრე მრისხანებდა. შვედეთის მხარემ მოიმინჯა, რომ პრინცს ჰქონდა ვალები. ვალების დაფარვა იკისრა ინგლისის საკონსულომ და კერძოდ რ. კემპბელმა. მან არაკეთილშობილურად მონათლა შვედური მხარის საქციელი. ჯ. ვატეიშვილმა გამოაქვეყნა შვედეთის სახელმწიფო საბჭოს ოფიციალური წერილი ალექსანდრე ბაგრატიონის ნემტის გადმოცემასთან დაკავშირებით 1711 წლის 27 ნოემბერს. გზა მოსკოვისკენ ხსნილი იყო. პრინცის გვამი შვედებმა ესკორტის თანხლებით მოაცილეს ვიბორგამდე. შვედ კაპიტანს ხიდზე რუსი კაპიტანი დახვდა ასი ჯარისკაცითურთ. ორივე მხრიდან სამგლოვიარო მარში ისმოდა. რუსებმა შვედ ოფიცრებს არყით ალექსანდრეს შესანდობარის შესმა შესთავაზეს. პროცესიამ მოსკოვისაკენ აიღო გეზი. რუსეთის პირველი ფელციხსმაისტერი, გენერალი ალექსანდრე ბაგრატიონი დიდი პატივით დაკრძალეს დონის მონასტერში. არჩილ მეფე და პეტრე დიდი, რომელიც სპეციალურად დაბრუნდა ფრონტის ხაზიდან, რომ პატივი მიეგო სიყრმის მეგობრისათვის ჭირისუფლებში იდგნენ. განუზომელი იყო არჩილ მეფისა და პეტრე დიდის მწუხარება. პეტრე დიდი მეგობრობაშიც დიდი კაცი აღმოჩნდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Voltaire, F. (1968). *Histoire de Charles XII*. Paris.
- Ватеишвили, Дж. (2003). „Грузия и европейские страны“. Т. 2. *Побратим Петра Великого. Жизнь и деятельность Александра Багратиони*. Москва: „Наука“.
- Надибаидзе, Н.Г. (1975). *Жизнь и деятельность Александра Арчиловича Багратиони*. Диссертация кандидата фил. наук. Тбилиси.
- Хмыров, М. (1886). *Главные начальники русской артиллерии: Первый генерал-фельцейхмейстер царевич Александр Арчилович Имеретинский*. Артиллерийский журнал. 1.

References:

- Chmeerov, M. (1886). *Glavnie natsalniki russkoj artilerii: Pervij general-felcejshsmajster carevits Aleksandr Artsilovits Imeretinskij*. Artileriiskij zhurnal, 1.
- Nadibaidze, N.G. (1975). *Zhizn i deiatelnost Aleksandra Artshilovitsa Bagrationi: Dissertacia kandidata fil. nauk*. Tbilisi.
- Vateishvili, J. (2003). *Gruzia i evropeiskie strani*. T. 2. *Pobratim Petra Velikogo. Zhizn i deiatelnost Aleksandra Bagrationi*. Moskva: Nauka“.
- Voltaire, F. (1968.) *Histoire de Charles XII*. Paris.